№ 220
შაბათი, 25 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 220
შაბათი, 25 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 26 ოქტომბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

გაძარცული ფოსტა

მელოდრამა 5 მოქმედებად, თარგმანი ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვა-აბაშიძისა, კარგარელისა, საყვარელიძისა, გარელი და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი კ. მესხი

ახალი ამბავი

⁂ კანონით ვინც ათის წლის განმავლობაში არ დაიწყებს სამოქალაქო საჩივარს, იმას ეკარგება უფლება საჩივრის დაწყებისა, ხოლო ეხლა სენატმა განმარტა, რომ ეს კანონი არ შეეხება სამოსამართლო გამიჯვნის საქმეებსაო.

⁂ კერძო ვექილი ა. ა. გურსკი ფატტას-ჰაკიმ-ოღლისა, რომელსაც ნაფიც ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებოდა და სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო, არ დათანხმებულა სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებას და სენატში საკასსაციო საჩივარი შეუტანია.

⁂ ტფილისის გუბერნიის სატეხნიკო ზედამხედველობას გარდაუწყვეტია, 1896 წლის გაზაფხულის ნიაღვრებისაგან დაქცეულ და წახდენილ გზა-ხიდების შეკეთებას 8,000 მან. ფული მოახმაროს. ამ ფულით განზრახვა აქვთ: 1) ხიდისთავში მდ. ტანაზედ კვლავ გააკეთონ ხიდი, რომელიც ხიდისთავის საბოქაულოს უერთებს გორის სამაზრო მმართველობას; 2) მდ. ჩარებულზედ ეხლავ ორი ხიდი გააკეთონ, რომელიც ცხინვალის საბოქაულოს შეუერთებს გორს: 3) ხიდი ააგონ მდ. სურამულაზედ, სოფ. სურამის ახლო; 4) განაახლონ მუსხის ხიდი მდ. მტკვარზედ; 5) განაახლონ მდ. არდაგანჩაიზე ხერთვისის ხიდი, რომლის შემწეობითაც სოფ. ხერთვისის მცხოვრებს შეეძლებათ სიარული თავიანთ, მდინარის მარცხენა ნაპირას მდებარე მამულებში; განაახლონ მდ. მტკვარზედ აწყურის ხიდი, რომელიც დაუახლოვებს აწყურის საზოგადოებას საფოსტო სადგურს, სასოფლო გამგეობას და სოფლის საავადმყოფოს, რომლებიც მტკვრის მარცხენა ნაპირას იმყოფებიან; 7) შეაკეთონ კახეთის გზა-ტკეცილი, რომელიც ჭალაუბნის ხეობას ასდევს და შეამაგრონ იგი კედლებით.

⁂ ტფილისის ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენაზედ 26 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, წაიკითხავს მოხსენებას 1) პ. ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი—ხის ქერქის მჭამელთა შესახებ. 2) ს. ნ. ტიმოფეევი—კავკასიაში ბაღოსნობის გავრცელებისათვის საჭირო საშუალებათა შესახებ.3) ნ.ნ. შავროვი—ბაღოსნობისათვის მავნე ცხოველთა და მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. 4) ნ. ნ. სპეშნევი ყურძნის სოკოს ავადმყოფობის შესახებ. 5) კ. ა. სატუნინი—აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ბაღოსნობის საჭიროებათა შესახებ.

⁂ გზათა უწყების სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემდეგ სადგურებზედ მგზავრის მატარებლიდგან გადმოყვანა არ შეიძლებაო: ჩაქვასა, ჯუმათსა, ნიგოითსა, საჯევახოსა, ჭალადიდსა, კოპიტნარსა, მუხიანსა, რიონსა, აჯამეთსა, მარელისსა, მოლითსა, წიფას, ვარვარინოსა, სკრასა, გრაკალსა, ქსანსა, გელათსა, „გოგირდის წყალსა“, სუმბათოვისა, მარტოუბანსა და ბოსლევში.

⁂ რადგანაც 15 ოქტომბრიდგან შეცვლილ იქმნა ვადა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელთა სიარულისა და რადგანაც ტფილისში მომავალი სახალხო მატარებელი საღამოობით გრაკალსა, ქსანსა და ავჭალის სადგურებზედ აღარა ჩერდება, ამ სადგურებს ახლო-მახლო მდებარე სოფლები ძალიან დიდს გაჭირვებაში არიან. გრაკალის მახლობლად მდებარეობს, მაგალითად, დიდი სოფლები: ახალქალაქი, ხოვლე და დოესი, რომლის მცხოვრებელთაც სავაჭრო და სხვა საქმეებისა გამო ძალიან ხშირად უხდებათ ხოლმე ტფილისში ჩამოსვლა და მატარებელი-კი არა ჩერდება. ასევეა ქსანსა და ავჭალის სადგურებზედ. ქსანის მახლობლად მდებარეობს სოფლები: კავთისხევი, მუხრაანი, გრემის ხევი და სხვანი, ხოლო ავჭალის მახლობლად —საგურამო, ბიწმინდა, წ-ნაამძღვარიანთ-კარი, ბულაჩაური და მრავალი სხვა.

საჭიროა ამიტომ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ზემოხსენებულ სადგურზედ სახალხო მატარებლელბი საღამოობითაც გააჩეროს ხოლმე.

⁂ ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა ამიერ-კავკასიის 1898—1900 წ. საერობო გარდასახადის შემოსავლისა და ხარჯის შესახებ. კომისია მოელის 3,380,069 მან. შემოსავალს. მხოლოდ ხარჯს-კი 3,332,475 მან., 747,723 მან. ნაკლებს, ვიდრე კავკასიის მთავარ-მართებლის ანგარიშიდგანა სჩანს.

⁂ გაზ. „Петерб. Вѣд.“ იუწყება, რომ ტფილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დაარსების საქმის გარდაწყვეტა კავკასიის მთავარმართებლისაგან იქნება დამოკიდებული, რადგან იმასა აქვს მინდობილი ეს საგანიო.

⁂ სოფ. თიღვ. სულ სამი ოთხი თვეა, რაც ჩვენ სოფელს მოუვიდა ახალგაზდა მღვდელი მ. სევერიან ლორთქიფანიძე, რომელიც მოსვლისათანავე მხნედ მოეკიდა ეკკლესიის ხარაჩოებ შემორტყმულ გუმბათის შეკეთების სისრულეში მოყვანას. განზრახვა აქვს აგრეთვე დააარსოს ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი და თუ სურვილი განახორციელა, დიდის მადლობის ღირსი იქნება მრევლისაგან. იმედია, კეთილს სურვილს მღვდლისას სხვებიც ხელს შეუწყობენ და ამ ნაირად შეაძლებინებენ სიბნელით მოცულს ხალხში წე-

ფელეტონი

გურიის ამბები

„აგაშენა ღმერთმა! გურიის ცხოვრება თავის სიგრძე-სიგანით სავსებით გადაგვეშლება თვალწინაო“, იფიქრებს ამ წერილის სათაურით მოტყუებული მკითხველი, როცა გაზეთს აიღებს ხელში, მაგრამ მწარედ მოსტყუვდება. გურიის ცხოვრების აწონ-გაზომვა, მისის ავ-კარგის ანუსხვა და ყველა ამის გაზეთის საშუალებით გამოქვეყნება არც ისე ადვილი საქმეა და მერე კიდევ, ცოტა არ იყოს, სახიფათო კადნიერებაც არის. მართლა და რაზე გნებავს, რომ სწერო ჩვენში? თუ ცოცხალ ადამიანის შესახებ დასწერე რამე, ვაი შენი ბრალი! არას გზით მაგას ჩვენში არ გაპატივებენ. პირიქით, თვით საზოგადო ხასიათის წერილებშიაც პირადობას ჰჩხრეკენ და თუ ვინმემ ამგვარს წერილში ოდნავ არის თავის ლანდი დაინახა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამოგეთხოვება. დასწერე რამე უკვე არსებულ ან მომავალ ამხანაგობის გამო, მაშინვე ამხანაგობის მმართველი გწვდება ყელში: არიქა, ვინ ხარ მამაცი! ამან ამხანაგობას თვალები დასთხარა, სახელი გაუტეხა, მშვენივრად მიმართულ საქმეს ხალხის თვალში ნდობა დაუკარგა, ის უმართებულო წერილი რომ არა ყოფილიყო, ჩვენ დღეს მილიონების პატრონი ვიქნებოდითო. იმას ვინ დაგიჯერებს, რომ ამხანაგობას არც თვალი ჰქონია და არც ყური, არც ხეირიანი მოთავე ჰყოლია, რომ ფული შუა გზამდის მიჰყოლოდა. ხალხი დიდი ხანია მას ეჭვის თვალით, უნდოდ უყურებდა, კორრესპონდენტმა აქ მხოლოდ საერთო გულის ტკივილი აღნიშნა და თუ ამხანაგობამ საცოდავ არამკითხე მოამბეზე გახეთქა ბრაზი, ეს საკუთარის უღონობის მისაჩქმალავი ხერხი იყო და სხვა არაფერი. დასწერე რამე მყუდროების დამცველის გამო: მაშინვე მყუდროების დარღვევა დაგბრალდება და საეჭვო ადამიანების სიაში მოექცევი.

დაგვრჩენია მხოლოდ უტყვი, უსულო, მაგრამ ყოველთა შემმუსრველი ამინდი. ამაზედ წერა ქეც ჰღირს, მაგრამ ვინ არის თავდები, რომ მიზეზიანი გურული თვით ჩვენის მშვიდობიანის ბუნების ასე გაკვიმატებას კორრესპონდენტს არ დააბრალებს. მართლაც-და, ზამთარი ჩვენებურს მშვიდობიანს ზამთარს არა ჰგავს და ზაფხული — ზაფხულს; გაზაფხული ჩვენთვის ერთი ხანია აღარ იმეტებს ჩვეულებრივ სიკეკლუცეს, სულ ჯანყითა და ბურუსით იმოსება, ხოლო შემოდგომა ძალზედ გაგვიძუნწდა. მერე კიდევ ყველა ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩვენში იმ სულდგმულებმა მოიკიდეს ფეხი, რომელსაც კორრესპონდენტებს ეძახიან. ეჭვი არ არის, რომ აქ კორრესპონდენტებს იმდენივე ბრალი აქვთ, რამდენიც რომელისამე ამხანაგობის გაკოტრებაში და მოუსავლობით გულდათუთქულს გურულსაც სრული უსაბუთო საბუთი ეძლევა, ბრაზი აქაც ამ არამკითხე მოამბეზედ გახეთქოს, თუმცა ამით ჩვენ ბელელ-მარანს არა შეეძინება-რა. ყოველ შემთხვევაში მე მაინც ამინდებიდგან დავიწყებ საუბარს, სრულებით დაიმედებული, რომ პირადობას მაინც ვერავინ გამოსჩხრეკს. დიაღ, ჩვენი მშვიდობიანი, წყნარი ბუნება აგვიჯანყდა, გაკვიმატდა. ჯერ 1895 წლის საშიშარის წარღვნის შემდეგ გონს არ მოვსულიყავით, რომ 1896 წლის სასტიკი ზამთარი მოგვადგა კარს და რაც წყალდიდობას გადარჩა, იმან იმსხვერპლა; ამ სწორ უპოვარის ზამთრით დაჩაგრულები წელში არ გავმართულიყავით, რომ იმავე წლის მოსავალმა გვიმუხთლა; ამ მოუსავლობით გულ-გატეხილებს თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობოდა, რომ ამ მცირე მოსავლის ფასიც ერთი ათად დაეცა, ხოლო ყველა ამან გამოიწვია ჩვენი სრული ეკონომიური უღონობა, ნივთიერი უძლურება. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ჩვენც გავრბივართ, მაგრამ სად, თითონ არ ვიცით. სამუშაო გაძვირდა. ვინც სახლში ტრიალებს და სამის წლის „ნედოიმკებს“ ანგარიშს ვერ აძლევს, ის ქალაქში მომუშავის ბედს შეჰნატრის, უკანასკნელი-კი იმ საათს სწყევლის, როცა სახლიდგან ფეხი გადმოაბიჯა, რადგან ქალაქში ბედმა უსუსტა და იმდენი სამუშაოც კი ველარ იშოვნა, რომ თავისი თავი გამოეკვება, თორემ სოფლად მიტოვებულ ცოლ-შვილს აბა რით ანუგეშებს? ყველანი ვგრძნობთ, რომ დიდი გაჭირვება გვიდგება, ვიცით რომ ეს გაჭირვება ერთის მხრივ გამოწვეულია მოსავლისა შემცირებით და მეორეს მხრივ ნაწარმოების ფასის დაკლებით, მაგრამ რა უნდა ვიღონოთ?აქ რომ მარტო ამინდისა დ კორესპოდენტების საქმე იყოს, მაშინ არც იმდენად დავღონდებით. ყოველთვის წარღვნა ხომ არ იქმნება; სადაც არის მზე ძველებურად გამობრწყინდება და ცოდვათა მიტევების შეწყნარების ნიშნად ჩვენ გურიის ცაზედაც ცისარტყელას აგვიფერადებს, ხოლო რაც შეეხება კორესპონდენტებს და საზოგადოთ წერა-კითხვის მცოდნე ხალხს, ამათგან მარტო ნიგოითის საზოგადოება დაგვიხსნის. ამ საზოგადოების მეთაურნი თურმე ისეთის ენერგიით სდევნიან თავიანთ და სხვა საზოგადოების ინტელიგენტებსაც, რომ წელიწადში ათს ამისთანა მოუსვენარს ვაჟ-ბატონს მაინც გაგვიბაწვრენ და მეტიც ჩვენ არ დაგვრჩება. დიახ, ამ ორის ჭირის თავიდგან აცილება არც ისე ძნელია, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ამით ჩვენს გაჭირვებას არა ეშველება რა. მოსავლის სიმცირე უეჭველად თვით ბუნების გაძუნწების ბრალია და მერე კიდევ ჩვენის საკუთარის უვიცობისა: ადამის დროინდელის საშუალებით იმდენს ველარ ვართმევთ გაძარცულ ბუნებას, რამდენსაც ის ძველად იძლეოდა, როცა ხელუხლებელი, ლაღი იყო. ხოლო ნაწარმოების ფასის დაკლება იმ ვაჟბატონის ბრალია, რომელსაც კონკურენციას ეძახიან და რომელიც ვაჭრობაში და საზოგადოდ აღებ-მიცემობაში თურმე უფრო იმას მოყვრობს, ვინც ახალის სამეურნეო ცოდნითა და იარაღით აღჭურვილია, ვინც ხერხიანის ცოდნის წყალობით, პატარა შრომით ბუნებას უხვად სტაცებს ღვთისაგან მიბარებულს სიმდიდრეს.

რა-კითხვის ცოდნა მაინც არის გაავრცელოს.

⁂ ქ. თელავი. თელავსა და სიღნაღს შუა მიმავალ გზის პირად, რომელზედაც კვირაში ორჯელ მიდიმოდის ფოსტა, მდებარეობს ოცამდის სოფელი. კარგი იქმნებოდა სოფლის მცხოვრებთ ეთხოვნათ ფოსტის მთავრობისათვის, რომ რამდენსამე დანიშნულ ადგილას გაეჩერებინათ ფოსტა, მიეღოთ და გადაეცათ ყოველგვარი წერილი და კორესპონდენცია იმ კაცისათვის, რომელსაც ამოირჩევდა სოფლის ხალხი წერილ-გაზეთების სატარებლად. მგონი ეს ადვილად მოსახერხებელია, ცოტაც არის შეღავათი მიეცემოდა ჩვენს ხალხს და რამდენისამე ვერსზედ სიარული არ მოუნდებოდა წერილ გაზეთების მისაღებად და გასაგზავნად. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ამხანად ფოსტის კვირაში ორჯელ სიარული მოსპეს რაღაც კერძო ანგარიშებისა გამო და დიდს გაჭირვებაში ვართ ამის გამო.

⁂ საჭიროა მუხრანიანთ და კანჭას ვიწრო ქუჩას ყურადღება მიექცეს, კიგანაც ჯერ არს, თორემ სიბინძურისა და უსუფთაობისა გამო კაცს არ გაევლება ამ ქუჩებში. რაც ახლო მახლო ეზოებსა და სახლებში ნაგავს აგროვებენ, სულ ამ ქუჩებში ჰყრიან. აქაური სახლის პატრონი დედაკაცები ისეთნაირად წავიდნენ თავს, რომ ხალხსაც არ ერიდებიან და ზედ თავზედ აქცევენ ადამიანს სარეცხის წყალს. ასეთი ამბავი წარსულ კვირასაც მოხდა და ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს უწესობას სახლის პატრონებისას?..

⁂ 17 ოქტომბერს, დიდუბის ქუჩაზედ პოლიციის მოხელემ ჰნახა ვიღაც წაქცეული კაცი, რომელსაც დარიბად ეცვა და ეტყობოდა, რომ ავად უნდა ყოფილიყო. საცოდავი მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი და საავადმყოფოში მისვლისთანავე გარდაიცვალა. ექიმის შემოწმებიდგან აღმოჩნდა, რომ იგი ავად ყოფილა წყალმანკისაგან.

⁂ 23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ხიდის ქუჩაზედ ყორღანოვის ცხენის რკინის გზის მატარებელზედ ტფილისის მოქალაქემ ვლადიმირ კარელოვმა ევგენია ვინგდოროვის ქრივს ჯიბიდგან ამოაცალა ქისა, რომელშიაც 12 მ. 35 კაპ. ჰქონდა. ჯიბგირი იქვე შეიპყრეს, წაართვეს ნაქურდალი და პოლიციაში გაჰგზავნეს.

⁂ 23 ოქტომბერს, ღამის 11 საათზედ, პოლიციის მოხელემ ააყენა ბეგლიარის ქუჩაზედ მწოლარე ვიღაცა კაცი. როდესაც იგი პოლიციაში მიიყვანეს, ძლივს წაილუღლუღა, რომ მიხეილ არტელიცენი ვარო. პირიდგან კარბოლის სიმჟავის სუნი და დუჟი ამოსდიოდა. არტელიცენი მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

—

კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას კრება ექმნება დღეს, 25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობის დარბაზში. კრებას მოხსენდება: 1) ადმინისტრაციის საქმენი და 2) საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელის წერილი: „ბრძოლა ავაზაკობის წინააღმდეგ“ შემდეგის შინაარსისა: 1) სისუსტე რუსეთის მთავრობისა, რომელმაც დაიჭირა საქართველოს მეფისა და ხანების უფლებანი. შედეგი ამ სისუსტისა. ზნე-ჩვეულების გათახსირება. კავკასიელთა მიერ თოფიარაღის ტარება. იმათი მისწრაფება თავ-დასხმისა და ძარცვა გლეჯისკენ. რუსეთის მთავრობის ღონისძიებანი კავკასიაში ძარცვა-გლეჯის მოსპობისათვის. 2. ბრძოლა დამსჯელ კანონის ძალით: სისხლისა და სამხედრო სასამართლოების შეწყობით. 3. საადმინისტრაციო საშუალებანი ძარცვა-გლეჯის მოსპობა აღმოფხვრისათვის. 4. ადმინისტრატიული გადასახლება. ციმბირში გაგზავნა სოფლის განაჩენით, აღკრძალვა ქალაქში ცხოვრებისა სოფლელთათვის. 5. მოქალაქეთა სამხედრო სამართალში მიცემა. 6. ყაჩაღების ოჯახობათა დაპატიმრება. სოფლის საპატიო მცხოვრებთა დაპატიმრება. ეგზეკუცია. 7. მოთხოვნა სოფლის საზოგადოებათაგან, რომ საურთიერთო თავდებობა ჰქონდეთ და უზღონ დაზარალებულს დაკარგული. 8. სოფლის საზოგადოებათა უფლების ჩამორთმევა მამასახლისების არჩევანის საქმეში. კავკასიის მხრის მართვა-გამგეობის დებულების მე—27 მუხ. აღსრულება. 9. პოლიციის მოხელეთა გამრავლება. 10. ყაჩაღების შეპყრობა ერობათა დარაჯების შეწყობით. ამისთანა დარაჯების გამრავლების პროექტი. 11. ყაჩაღების შეპყრობა სოფლის ხალხის მიერ: დარაჯებისა და სხვათაგან. 12. სოფლის მცხოვრებთა დავალება, რომ ყაჩაღების ბინა და თვით ისინი არ დაჰფარონ. 13. ყაჩაღების შეპყრობა ჯარის შემწეობით. გაგზავნა მოხელისა და ოფიცრისა ყაჩაღების დასაჭერად. 14. შეიხულ-ისლამის ეპისტოლე ყაჩაღობის წინააღმდეგ. 15. კავკასიის მთავრობის პროექტი პოლიციის მოხელეთა გამრავლების შესახებ გამოძიების დროს (სასამართლოს პოლიციის დაწესება), 16. ადმინისტრაციის პროექტები: სისხლის სასამართლოში ცვლილებათა შემოღების შესახებ და გადაცემა ყველა სისხლის სასამართლოს საქმეებისა სამხედრო სასამართლოში. 17. ვ. ა. ანდრეევის პროექტი (ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელად ნამყოფისა) იმის შესახებ, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოში მონაწილეობის ნება მიეცეთ ადგილობრივ მცხოვრებთა საპატიო წევრთ. 18. ახალი პროექტი ყაჩაღობის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად. 19. მთავრობის ღონის ძიებანი.

კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

ქალაქის საბჭო.

23 ოქტომბერი

კრება დაიწყო $8^{1}/_{2}$ საათზედ, დაესწრო 56 ხმოსანი. წაკითხულ იქმნა იმ ხმოსანთა სია, რომელნიც წარსულ 6 და 13 ოქტომბრის კრებაზედ არ დაესწრნენ. საბჭომ კანონიერად სცნო მიზეზი მათის დაუსწრებლობისა.

შემდეგ თავმჯდომარის თხოვნით საბჭომ დაასახელა იმ კომისიის წევრნი, რომელმაც უნდა შუამდგომლობა გასწიოს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. კენჭის ყრით ამ კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: თავ. გ. მ. თუმანოვი (53 თეთ. 3 შავი), ნ. ნ. ოსტროგორსკი (53 — 3), თავ. ნ. ვ. არღუთინსკი დოლგორუკი (52—4), კ. ნ. რეიტერი (50—6), მ. ი. თამამშევი (50—6), პ. ა. ოპოჩინინი (50—6), კ. მ. ალიხანოვი (43—13), ი. ი. მალინინი (43—13), ნ. ი. ყორღანოვი (37—19), ბ. პ. ვესელოვზოროვი (31—25). კენჭის ყრის შემდეგ ზოგიერთმა ხმოსნებმა სთქვეს, რომ ამ კომისიას თავმჯდომარეც უნდა ამოურჩიოთო.

ხმ. ი. ა. თაიროვი. ეს კომისია აღმასრულებელი კომისიაა. იმან გამგეობასთან ერთად უნდა იმუშაოს და თავმჯდომარეთაც ქალაქის მოურავი ან გამგეობის რომელიმე წევრი იქმნება. მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან თავმჯდომარის ამორჩევა, თუ ესენი უარს განაცხადებენ.

თავ. გ. მ. თუმანოვი. საჭიროა რომ ამ კომისიამ ცალკე იმუშაოს, რადგანაც ძალიან საჩქარო საქმე აქვს მინდობილი და გამგეობას კი ყოველთვის არ ეცლება. გამგეობას უიმისოდაც ბევრი საქმე აქვს.

გამ. წევ. ვერმიშევი. ამ კომისიის ვალია გამგეობას დაეხმაროს, ამიტომ ორივემ ერთად უნდა იმუშაოს. აქედგან აშკარაა, რომ თავმჯდომარედაც ქალაქის მოურავი იქმნება.

ხმ. ხუდადოვი. ყოველ დღე ის გვესმის გამგეობისაგან, რომ ბევრის საქმეებისაგან მოცლა არა გვაქვსო. თუ ეს მართალია, მაშინ საჭიროა გამგეობამ ამ კომისიაში მონაწილეობის უარი განაცხადოს. კომისიას მაშინ გამგეობის ცდა არ მოუნდება და საქმეს უფრო მალე გააკეთებს.

თავმჯდომარე ივანენკო. გამგეობა ერთხმად თანახმაა ამ კომისიაში მონაწილეობა მიიღოს, ამიტომ საჭირო არ არის თავმჯდომარის არჩევა.

საბჭომ მოისმინა წერილების დამტარებლის პახაჩევის თხოვნა. პახაჩევი 12 წელიწადი ემსახურებოდა ქალაქის თვითმართველობას, ამ ბოლოს დროს ავადმყოფობის გამო თავი დაანება და ეხლა შემწეობას თხოულობს. საბჭომ კენჭის ყრით დაადგინა მიეცეს პახაჩევს ერთ ხანად 240 მანეთი.

ამის შემდეგ საბჭომ ერთი საათი თუ საათ ნახევარი უმნიშვნელო ლაპარაკსა და კამათს მოანდომა. წინანდელს კრებაზედ ხმ. ბაბოვმა თავისი კერძო აზრი ქალაქის მოურავის არჩევნების გამო ოქმში შეიტანა, მაგრამ რადგანაც ამ ოქმზედ ჯერ ხმოსნებს ხელი არ მოუწერიათ, ხმ. კ. მ. ალიხანოვმა უკმაყოფილება განაცხადა და მოითხოვა, რომ ეს გარემოება ოქმში აღენიშნათ. ხმ. ბაბოვმა თავისის მხრით განაცხადა, რომ როგორც წინად ვიქცეოდით, მეც ეხლა ისე მოვიქეციო და თუ მაინც და მაინც ალიხანოვს უნდა, რომ ეს ვითომ-და ჩემი უკანონობა ოქმში აღინიშნოს, გთხოვთ ჩემი გამამართლებელი საბუთიც დაატანოთ ზედაო. აი სწორედ ამის გამო იყო ერთი აურ-ზაური და დიდი ლაპარაკი ხმოსანთა შორის როგორც ამ კრებაზედ, აგრეთვე წარსულს კრებაზედ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის სახლის განათების შესახებ. თავის მოხსენებაში გამგეობა საჭიროდ სცნობს, რომ ეს სახლი გაზით იქმნეს განათებული და არა ელექტრონით, რადგანაც, იმის აზრით, პირველი უფრო იაფად დაჯდება და უფრო კარგიც არის.

ხმ. ხუდადოვი. თქვენ ძალიან ადრე მოინდომეთ ქალაქის სახლის განათება. ჯერ საჭიროა მთელის ქალაქის ქუჩების განათებისათვის იზრუნოდ და შემდეგ თქვენთვის. ამი-

---

ეხლა თქვენ ის კი არ იფიქროთ, რომ გურულებს ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება შეუგნებელი გვქონდეს. ჩვენ ადრევე მივხვდით, რომ სამეურნეო ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის წარსამატებლად და ამიტომაც მთელის მაზრის გლეხ-კაცობა კომლზედ ხუთს შაურს ვიხდით სამეურნეო განყოფილების შესანახავად, თუმცა ამ განყოფილების წყალობით ჩვენს ბეღელ-მარანს ერთი მისხალიც არა მოჰმატებიარა; მაგრამ ჩვენ უკვე ნაწარმოებთა გაზიდვისათვის ვიწყეთ ზრუნვა და გამზიდავ ამხანაგობაც კი გავიჩინეთ. ჩვენი მოკეთები არც ამას სჯერდებიან და რამდენი დღეც ამ ორს უკუღმართ წელიწადს ჰქონდა, იმდენი პროექტი გამოგვიცხეს. ვინც უკვე არსებულს ამხანაგობაში დაარსებიდგან წევრად ითვლება და არც ერთის წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ის ახალის ამხანაგობის წესდებას ადგენს და პროექტი შემოაქვს; ვინც საკუთარს დავთრებს თავსა და ბოლოს ვერ ართმევს, ის ქვეყნის საქმეს არიგებს; ვისაც საკუთარი რწყილის ოდენა გაჭირვება ვერ მოუგერებია, ის ჰლამის მშრომელს უმეტესობას, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ ტანჯვის ცრემლი მოსწმინდოს. ერთის სიტყვით ვსაქმიანობთ, ვფართი-ფურთობთ (ბუზისა არ იყოს, ვითომ მეც ვხნავდე!), მაგრამ ამ მოძრაობის წყალობით ჩვენს ცხოვრებას ერთი სუსტი ნაბიჯიც-კი არ წაუდგამს წინ, ამ ორის წლის განმავლობაში არც ერთი პროგრესიული დაწესებულება არ მოგვმატებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხუთიოდე ყოველ საშუალებას მოკლებულს სამკითხველოს. ჩვენი სკოლები თუმცა მოსწავლეებით სავსეა, თუმცა თითო მასწავლებელს 120 მეტი მოსწავლე ჰყავს, მაგრამ სრულის ეკონომიურის უძლურების გამო ერთი საწყალი სკოლაც კი ვერ მოგვიმატებია.

დიახ, თუმცა დიდს ფართი-ფურთში ვართ, მაგრამ, თუ გადაჭარბებულს პესიმისტობაში არ ჩამომართმევთ, ამ ფართი ფურთში მე სანუგეშოს ერთობ ცოტასა ვხედავ და ეს ცოტა ოზურგეთისა და ასკანის ინტელიგენციაა. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ორის უბნის ახალგაზდებს სწორედ ეტყობა სიცოცხლე, სიფხიზლე და თვით საზოგადო საქმეშიაც დიდს უნარს იჩენენ, თუმცა ამ ორის ჯგუფის ინტელიგენტთა შორის განსხვავებაც დიდია: ოზურგეთის ინტელიგენციას სარბიელიც დიდი აქვს და ერთობ ბევრს საქმესა სჭიდებს ხელს, ასკანისა ცოტას სჯერდება, მაგრამ ერთხელვე თუ რამე ახალი საქმე აიჩინა, გაუკეთებელს აღარა სტოვებს. ოზურგეთის ინტელიგენცია უფრო ამაყია, ბევრსა ლაპარაკობს, ერთის ხელით კეთილსა სთესავს და მეორეთი „ბიჭბუჭებს“ იგერებს, რომელნიც ვითომ და ხელს უშლიან, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ბიჭბუჭებიც წერა-კითხვის მცოდნე ხალხია, ამათაც თავი ინტელიგენტებად მოაქვთ, გამოვა, რომ ოზურგეთის ინტელიგენციას ცოტად თუ ბევრად შეგნებული წევრებიც ვერ შეუბამს საერთო საქმის უღელში; ასკანის ინტელიგენცია უფრო ჩუმია, არც ბიჭბუჭებს ებრძვის და არც ქაჯებს, ამათ უვიცი სოფლელნიც-კი საერთო საქმის სიყვარულით გაუმსჭვალავთ და ამ ღარიბის სოფლის ცხოვრებას ჩუმად, მაგრამ მხნედ ეწევიან წინ. ამათს შრომას მოჰყვა: ჩინებულად მოწყობილი ორ-კლასიანი სასწავლებელი სამის მასწავლებელით. სასოფლო ბანკი, სამკითხველო, კარგი გზები და სხვ., ხოლო ოზურგეთმა რაც გააკეთა, მისის ხმიანის ინტელიგენციის პირით უკვე შევიტყვეთ. ასეა თუ ისე, ორისავე უბნის ინტელიგენცია დიდის თანაგრძნობისა და მადლობის ღირსია ჩვენგან და ჩვენც სულითა და გულით ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას.

ყველა ყველა და ამ პატარა ნიგოითში ეს რა უკეთესი მოძრაობა არის? ამ სოფლის მშვიდობიანნი, უწყინარნი მკვიდრნი გაბოროტებით სდევნიან თავის სოფლის არა ნაკლებ უწყინარსა და მშვიდობიანს ინტელიგენციას, წერა-კითხვის მცოდნე ხალხს, ერთის სიტყვით, უფრო შეგნებულს ნაწილს. ამას სჩადის ის სოფელი, რომელიც თავისის სიკეთით დღემდის შურსა ჰგვრიდა სხვა სოფლებს და რომლის სიფხიზლეს ჰმოწმობენ ჩინებულად მოწყობილი სამკითხველო, კარგი გზა და ორი სხვადასხვა ადგილას გამართული სასწავლებელი, რომელთაგან ერთი ორკლასიანი მოთავსებულია მეტად ძვირფას, კოპწია შენობაში. მერე რა დააშავა ამ სოფლის უფრო შეგნებულმა ნაწილმა? ისა, რომ ყველა ზემოდ დასახელებულ დაწესებულების დაარსების საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა; ამასაც არ დასჯერდა, სასოფლო ბანკის დაარსებისა, ტირილის ხარჯის შემცირებისა და სხვა ამ გვარისათვის იწყო თავის ხეთქვა. მერე?.. აქ უმჯობესია უცვლელად მოვიყვანო ის საუბარი, რომელიც ჩემსა და ისევ ნიგოითელ ახალგაზდას შორის ჩამოვარდა ამავე საგნის შესახებ:

— მერე? ვკითხე მე ამ მოვლენით გულ-დათუთქულს ახალგაზდას.

— მერე და ეს იწყინეს.

— ვინ?

— ამავე სოფლის ჩარჩებმა, ვაჭრებმა და, ასე გასინჯეთ, იმანაც-კი, ვინც ბეჩავ ხალხის ჩამგონებლად, მოძღვრად, გზის მაჩვენებლად ითვლება.

— თუმცა არჩევანს ხალხიც ესწრება და პოლიციაც, მაგრამ არჩევით მამასახლისს ისინი ირჩევენ, ვისაც ნიგოითის მინდორ-ველები და სახნავ-სათესი ეკუთვნის.

უნდა გამოვტყდე, მკითხველო, რომ უკანასკნელის პასუხის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გულს მომეშვა. ცალკე სოფლისათვის მტკივოდა გული და ცალკე ნიგოითელ ინტელიგენციისათვის. გამოდის, რომ ერთიცა და მეორეც ცაში მართალი ყოფილა. აქაც მხოლოდ ეკონომიური უძლურება, ნივთიერი დამოკიდებულება კვიმატობს და სხვა არაფერი. უეჭველია, ეს უკეთური ძალაც იკვიმატებს, სანამ ამინდი უდგას, ჩვენ იმასთან მუდარა არ გაგვივა. მოვა დრო, ეს უკუნეთი ცოტად გაგვიშუქდება და მოკეთეებიც ერთმანეთს დაინახავენ.

შუბნელი

ტომ მაგ საგნის განხილვა ჯერ-ჯერობით უნდა გადაიდოს.

ხმ. ალიხანოვი. უმჯობესი იქნება, გაზის მაგიერ, ელექტრონით გავანათოთ ქალაქის სახლი. პირველი მაშინ იქნება კარგი და გამოსადეგი, როდესაც მთელ ქუჩას ან მოედანს სჭირია განათება, ხოლო ერთის სახლისთვის ელექტრონი სჯობს.

ხმ. თამამშევი. ერთად ერთი ქალაქის სახლისთვის რომ შემოვიღოთ ელექტრონის სინათლე კარგი და გამოსადეგი არ იქმნება. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა იმდენად მოზრდილი მანქანა დაიდგას, რომ ქალაქის სახლის გარდა, ახლო მდებარე მაღაზიებსა და სახლებსაც შეეძლოთ ისარგებლონ ელექტრონით; მაშინ შემოსავალიც მეტი იქმნება.

ხმ. მიტკევიჩი. მე ხუდადოვის აზრს ვეთანხმები. ჯერ ქალაქის ქუჩების განათებისათვის უნდა ვიფიქროთ და მხოლოდ შემდეგ ქალაქის სახლის განათების ზრუნვას შევუდგეთ.

ხმ. იოანნესიანი. ერთბაშად არაფერი არა კეთდება. ჯერ ერთი ნაწილი უნდა განათდეს და მერე თანდა-თან სხვებიც. სხვაგანაც ასე არის. ევროპის ქალაქებში, მაგალითად, ყველაზედ კარგი მოწყობილი და განათებული ქალაქის თვით მართველობის სახლებია. ჩვენც ჯერ ქალაქის სახლისათვის გვმართებს ზრუნვა.

ხმ. ა. ზ. ევანგულოვი. ჩემის აზრით, ქალაქის სახლი ნავთით უნდა იქმნას განათებული, რომ ხმოსნები უფრო ადვილად მიხვდნენ, რამდენად ცუდია უხეირო სინათლე. ეგებ მაშინ მაინც მიაქციონ ყურადღება იმ ქუჩების გაუმჯობესებასა და განათებას, სადაც მუდამ წყვდიადი და ტალახი ჰმეფობს.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა გამართულ იქმნას დინამო-მანქანა ქალაქის სახლისა და იმის მახლობლად მდებარე მაღაზიებისა და სახლების ელექტრონის გასანათებლად.

ბოლოს საბჭომ აირჩია იმ კომისიის წევრნი, რომელმაც უნდა განიხილოს მიტკევიჩის წინადადება საბჭოს საქმეთა წარმოების წეს-რიგის შეცვლის შესახებ. არჩეულ იქმნენ წევრებად: ი. ს. ალიხანოვი (43 თ. 8 შავ.), მიტკევიჩი (41—10), ირიცპუხოვი (40—11), მღებროვი (40—11), ა. ნ. ვესელოვზოროვი (37—14), სულხანიშვილი (33—18), პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი (33—18), კანდიდატებად: ა. ბ. ევანგულოვი (30—21), ა. ს. ბაბოვი (29—22).

კრება 12 საათზედ დაიშალა.

საზარელი ამბავი

2 ოქტომბერს ქუთაისის მაზრის სოფელ გომს გლეხმა პ—ე ჩ—მ თავის ხელით დაარჩო თავისივე ცოლი კესარია, 24 წლის ყმაწვილი ქალი. შვიდი წელიწადია, რაც იმათ ჯვარი დაუწერიათ. პირველ ორის წლის განმავლობაში, ვიდრე პ—ე ჩ—უა, მისი ძმები და მამა მათი ერთად სცხოვრობდნენ, პავლე ცუდად არ ეპყრობოდა თავისს ცოლს, ალბად ეშინოდა თავისის ძმებისა და მამისა, მაგრამ შემდეგ, როდესაც გაიყარნენ და პავლე მარტო ხელად დარჩა, თითქმის ყოველ დღე უმოწყალოდ სცემდა თურმე თავისს ცოლს კესარიას, რომელსაც მშველელი არავინ არა ჰყავდა. საწყალი კესარია ყველას შესჩიოდა თავისს უბედურს მდგომარეობას და ევედრებოდა, რომ ვისმე ეხსნა იგი ტანჯვისაგან, მაგრამ ყველანი, თითქმის დედ-მამაც, ერთ-ხმად ეუბნებოდნენ: „ან ქმარი, ან მიწაო!“... ამის გამგონე ქმარიც ასე ეუბნებოდა კესარიას: „მა როგორ გგონია, შენ მონა ხარ ჩემი! გაიგონე თუ არა? შენ მე უნდა მემსახურო, იყავი ჩემი მორჩილი, რაც უნდა ვქმნა, ხმა არ ამოიღო, თორემ ხომ იცი, შენი სული ჩემ ხელშიაო“! რას იქმოდა საწყალი კესარია, იყო მორჩილად, თუმცა მთელი ტანი და პირი-სახეც დალილავებული ჰქონდა ცემისაგან, კანი ეწვოდა, გული უდუღდა და ცრემლები სცვიოდა, მაგრამ ხმის ამოღება და თქმა მაინც არ შეეძლო. კესარია ლამაზი და კეკლუცი ქალი იყო, თავ-გამომეტებით ჰშრომობდა და თავისს ლეჩაქს მტკიცედ იფარავდა. ბევრი იტანჯა, ბევრი იფიქრა საწყალმა კესარიამ და ვერას გზით ვერ ახსნა, თუ რა დანაშაული მიუძღვოდა ქმართან. ბოლო დროს დარწმუნდა, რომ ჩემი ქმარი ჭკუაზედ შეშლილიაო. კესარიამ მიჰმართა მთავრობას და სთხოვა, მოეშორებინათ იგი. წაიყვანეს იმისი ქმარი, შეამოწმეს ექიმებმა და გამოუცხადეს მომჩივანს კესარიას, რომ შენი ქმარი ჭკვიანიაო.

მობრუნდა ბრაზიანი პავლე სახლში და თან მოიტანა საწყალი კესარიასათვის ახალი უბედურება: ცემა-ტყეპა, წყრომა, ჰექა-ქუხილი. ველარ გასძლო კესარიამ: უარ-ჰყო მშობლების ბრძანება, მოშორდა ქმარს და როგორც იქნა თავისუფლად ამოისუნთქა. თუმცა ყველა ისე უყურებდა როგორც ფიცის გამტეხს, მაგრამ მაინც ასე არჩია, რადგანაც სული ძნელად დასათმობია. თავი გამოიდვეს მონობის მომხრეებმა და ისევ უკანვე მიჰგვარეს გიჟ პავლეს კეკლუცი და ყოვლად პატიოსანი კესარია. პავლემაც მაშინვე თავისი ძველი ხელობა გაიხსენა და კიდევ დაუწყო კესარიას ტანჯვა-წვალება, რომლისა გამო საცოდავს ორჯელ მუცელი მოსწყდა. ხალხი ამ გარემოებას მაინც გულ გრილად უყურებდა, ჯერ ერთი იმიტომ-რომ ტანჯული კესარია პავლეს ცოლი იყო, იმისი მონა, რომელიც ან ბანტონთან უნდა დარჩეს და ან მიწაში უნდა ჩაწვეს, და მეორეც იმიტომ, რომ მთავრობამ პავლე ჭკვიან კაცად იცნო.

ერთხელ თვით აღდგომა დილას ცემა-ტყეპის შემდეგ, კესარია თავით შუა ცეცხლში ჩააგდო ქმარმა. კესარია, როგორც იქნა, პავლეს ხელიდგან გამოსხლტა და გაექანა პირდაპირ ეკკლესიისაკენ მღვდელ ლ. ჩ—სთან, რომელიც ამ დროს იმოსებოდა სალოცავად. მოძღვარმა შეჰხედა დამწვარ-დადაგულ კესარიას და მაშინვე გაჰგზავნა თავისს დედ-მამის სახლში და თან უთხრა, რომ არ დაბრუნდე შენის ქმრის სახლში, თუ სიკვდილი არ გინდაო, მაგრამ ვინ დააყენა საწყალი კესარია: ისევ წაათრიეს თავისს ქმართან, რადგანაც კანონიც ასე ბრძანებს „ცოლმა ქმართან უნდა იცხოვროსო“, და წაათრიეს უკანასკნელადაც. 17 სექტემბერს ისე მძიმედ გალახა პავლეს თავისი ცოლი, რომ თავზედ თმა ერთიანად აეგლიჯა, კინკიბა მოეტეხა, პირის ნახევი ორივ მხარეს ყურებამდის მიეტანა, ასე რომ გალახულობისაგან კესარია ველარც-კი ლაპარაკობდა და მის მობრუნებას კაცი აღარ ჰფიქრობდა, მით უმეტეს, რომ ფეხ მძიმედ იყო. მღვდელმა აზიარა და მამასახლისმაკი მაშინათვე მტარვალი პავლე დაიჭირა, ოქმი შეადგინა და წარუდგინა ორივე სამტრედიის პოლიციის ბოქაულს.

ყველას სურვილი ის იყო, რომ პავლე აღარ მობრუნებულიყო სახლში და სასტიკად დაესაჯა მთავრობას, მაგრამ პავლე იმავე დღეს, 17 სექტემბერს, არხეინად მიბრძანდა სახლში, არაყით ლაზათიანად გალექილი. თავს მეხი დაეცა უბედურს კესარიას, მაგრამ რა უნდა ექნა, როდესაც გარემოებამ პირდაპირ დაარწმუნა, რომ ქმართან სრულიად უღონო იყო.

30 სექტემბერს მამასახლისმა უკანვე მიიღო თავის ოქმი და მასთან მოწერილობა პოლიციის ბოქაულისა, რომლითაც უბრძანებდნენ: გამოუცხადე სასიკვდილოდ გალახულს კესარიას, რომ თავისს ქმარზედ საჩივარი სასამართლოში უნდა შეიტანოსო. ამასთან მამასახლისს აუხსნეს, რომ არ გქონდა ნება პავლეს დაჭერისა და ოქმის შედგენისაო.

ამის შემდეგ 2 ოქტომბერს გათამამებულმა მტარვალმა საბრალო კესარია თავისივე ხელით დაარჩო დღისით თავისს სახლშივე იმ უბრალო მიზეზისათვის, რომ უბედურ კესარიას უარი უთქვამს, ორ ფუთიანის გოდრის ზიდვა არ შემიძლიან, ფეხ-მძიმედ და ავადა ვარო. ღვერთმა განგისვენოს, საბრალო კესარია!.. მაგრამ ამას კი ვერ ვეტყვი იმათ, ვინც შენ არ დაგიფარა; ამბობენ, მკვლელი ისეთი მოლაპარაკეა, რომ რაც უნდა კარგი ვექილი იყოს, გაგუდავს; მაგრამ ლაპარაკი რად უნდა, უიმისოთაც ათასი ვექილი გაუჩნდება. ეს ყველაფერი ასე, მაგრამ მე მაინც იმას ვკითხულობ: ვინ მოჰკლა საბრალო კესარია: პავლემ, კანონმა, რომელიც ჰბრძანებს, რომ ცოლი მონაა ქმრისა და ქმართან უნდა იცხოვროსო, თუ ბატონმა პოლიციის ბოქაულმა, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია მამასახლისის მოხსენებას?!...

7 ოქტომბერს მოვიდა სოფელ გომს ბატონი გამომძიებელი და მაზრის ექიმი, ამოიღეს მიწიდგან განსვენებულის გვამი და გასჭრეს. ვნახოთ, რითი გათავდება ეს საქმე.

ჩამომრები

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ქედა (ქვედა აჭარა), 12 ოქტომბერი. შარშან მთელი სოფელი შეწუხებული იყო ფირალებისაგან და ამ ფირალების ბოლოს მოღება შეუძლებელი შეიქმნა. გამოგზავნილი იყო ჯარი, და მთელის სოფლის ხალხმაც მხარი მისცა, ჩაუდგნენ კვალში ფირალებს, ზოგი მოკლეს და ზოგი დაიჭირეს. გვეგონა, რომ აწი ჩვენს ქვეყანაში ავი კაცი არ გაჭაჭანდებაო, იმიტომ რომ ჯარის ამოსვლამ ხალხი ძლიერ შეაშინა და შეაწუხა, მაგრამ მაინც არ დაიშალეს თავისი. წელს კიდევ ამოვიდა ჯარი დარჩენილ ფირალების შესაპყრობად, მაგრამ ამოსვლის შემდეგ უფრო უარესი გახდა, ცუდ-კაცობა უფრო გამრავლდა, უწინდელი ფირალები წლევანდელმა კაცის კვლამ და ცუდკაცობამ დაგვავიწყა.

4 ოქტომბერს სოფელ კვაშტაში მცხოვრებელმა ახმედ-აჯი-მემედ-ოღლიმ დასჭრა თავისი ბიძა ზაზით ალა-კორიზოღლი. ამათ უწინ თურმე უკმაყოფილება ჰქონდათ და ეს იყო მიზეზი. ამათმა ძაღლებმა თურმე ახმედის ყანაში იჩხუბეს, ამათ ჩხუბზედ გამოვარდა ზაზით-ალა, გააშველა და ახმედის ძაღლი გალახული გააგდო. ამისთვის ახმედმა ესროლა რევოლვერი თავისს ბიძას და ორივე მუხლებში ძლიერ დასჭრა. თუმცა-და ჯერ ცოცხალია, მაგრამ, რომ გადარჩეს კიდეც, კუტი მაინც დარჩებაო, ამბობენ. დამნაშავე შეპყრობილია.

6 ოქტომბერს სოფელ აჭარის ადმართში მოჰკლეს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ბიჭი, შეიდან ყილიჩი-ოღლი. ღამის სამ საათზედ წასულიყო იგი ყანაში, სადაც ნალიას ქვეშ სიმინდი ჰქონოდა გასარჩევი. მისულა თუ არა, მტერიც მიჰპარვია, უკანიდგან ესროლა თურმე თოფი და იქვე სული დალევინა. დამნაშავე ჯერ-ჯერობით არ არის ნაპოვნი.

11 ოქტომბერს, ღამე, ავთიაქის სახლის ეზოში ექიმის სამს ცხვარს მოჰპარვოდა მგელი და ერთი ცხვარი მთლად შეეჭამა და მეორისათვის ჯიგარი ამოეგლიჯა. საკვირველი ის არის, რომ ექიმის სახლი სახელმწიფო გზის ნაპირზეა, აქ დღე და ღამე მგზავრი დადის, იქვე ჯარი სდგას და იქ როგორ მიჰხედა მგელმა, მაგრამ რა, აქაური მგელიც ხათაბალაა და კაციც.

ჩვენში წვიმები კიდევ დაიწყო. ისე დღე არ გავა, რომ დილიდგან შუადღემდის არ იწვიმოს. მართალია, თოვლი მოვიდა, მაგრამ ასე გაბმული წვიმები არ გაგონილა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

აი რასა სწერს გაზ. „კავკასში“ ბათუმის სასანიტარო მკურნალი ბ-ნი მხეიძე:

> 24 სექტემბერს, დილით, საქულბაქოს ზედამხედველმა ლუკოვსკიმ მაცნობა, რომ ალექსი პაჩულიას დუქანში საეჭვო ღირსების პურია, რომელიც მეპურეთა უსტაბაშს კეროპ სახპეტოვს ეკუთვნისო.
>
> მივედი და აღმოვაჩინე 30 ფუთამდე სახმარებლად უვარგისი პური, რომელიც ერთის ბათუმში მყოფ ჯავშნიან გემისათვის იყო გამომცხვარი და იქ დაეწუნებინათ. სწორედ ასეთივე უვარგისი პური, წონით 20 ფუთამდე, ვიპოვნე თვით სახპეტოვის ფურნეშიაც. ორსავე შემთხვევაში პური ცუდად იყო გამომცხვარი, მწარე გემო ჰქონდა, აშმორებული სუნი სდიოდა და საკმაოდ მიწა-ნარევიც იყო. ჩემს გარდა, ეს პური გაესინჯა მკურნალს პოსლავსკის, რომელსაც იმავე მიზეზით დაეწუნებინა.
>
> ყოველისავე ამის შესახებ ჯეროვანი ოქმი იქმნა შედგენილი და სასამართლოს გარდაეცა.
>
> ამის შემდეგ გავსინჯე პოლიციის მონაწილეობით, პურის-მცხობთა უსტაბაშის ორის ხელქვეითის თანადასწრებითა და მოწმეთა წინაშე სახპეტოვის ფქვილის საწყობი, საიდგანაც ეხმარათ ფქვილი უკვე დაწუნებულის პურის გამოსაცხობად. საწყობში სამნაირი ფქვილი აღმოჩნდა: პირველი კარგის ღირსებისა იყო, მეორე—44 ტომარა—აშმორებული და მწარე, ხოლო მესამეში—127 ტომარა—ნახევარზედ მეტად ქატო და მიწა ერია. ამის გამო მე 171 ტომარა ფქვილი უვარგისად ვცან სახმარებლად და შევადგინე ჯეროვანი ოქმი. ეს ოქმი სასამართლოში წარვადგინე, ხოლო უვარგისად ცნობილი ფქვილი დავაბეჭდვინე. ეს ფქვილი იქვე განაცალკევეს და ზედ პოლიციის მეორე ნაწილის ბეჭედი დაჰკრეს. ყოველივე აქ ნაამბობი ვაცნობე ქალაქის გამგეობას და, ამას გარდა, ქ. ბათუმის პოლიცმეისტერსა ვთხოვე, რომ დაჭერილის ფქვილის გასყიდვის ნება არ მიეცა. ამავე დღეს პოლიცმეისტერმა განკარგულება გასცა და ფქვილის საწყობი გარედგან დააბეჭდვინა.
>
> 6 ოქტომბერს სრულიად შემთხვევით შევიტყე, რომ საწყობი გაუღიათ და ფქვილსა ჰყიდიან. ვაცნობე რა ეს გარემოება ქალაქის გამგეობას, იმავე დღეს გამგეობის წევრთან ერთად, რომელსაც სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის გამგეობა აქვს მინდობილი, მკურნალ გ. ი. ვოლსკისთან, წაველი პოლიციის სამმართველოში. აქ ვერა ვნახე პოლიცმეისტერი, ავად ყოფილიყო, მხოლოდ შევიტყე, რომ საწყობი გაეღოთ ბ-ნ პოლიცმეისტერის განკარგულებით, რადგან ქალაქის მკურნალს მიხეილის მეციხოვნე არტილერიის მკურნალთან ერთად, ვიღაც სიმონოვის თხოვნით (რა შუაშია აქ სიმონოვი?!), გაესინჯა სახპეტოვის ფქვილის საწყობი და ფქვილი სრულიად ვარგისად ეცნო. ამის შემდეგ ჩვენ წავედით სახპეტოვის საწყობში, რომ ჩვენის თვალით გვენახა და დავრწმუნებულიყავით რაც, გადმოგცეს, აგრეთვე ალაგობრივ გვენახა დაწუნებულის ფქვილის ცოტაოდენი ნაწილი მაინც არის, მაგრამ უმთავრესის 127 ტომრის კვალიც აღარ იყო: საშინელის სისწრაფით სადღაც გადაჩქმალულიყო. ამის შესახებაც ჯეროვანი ოქმი შევადგინეთ.
>
> ქალაქის გამგეობა თავისის მხრივ ოფიციალურად შეეკითხა ბ-ნს პოლიცმეისტერს, გვაცნობეთ ვისის განკარგულებით და რა საფუძველით გახსნეს სახპეტოვის საწყობი და ფქვილის გაყიდვის ნება დართესო. პოლიცმეისტერმა გვიპასუხა, რომ „ფქვილი, დაბეჭდილი სასანიტარო მკურნალის მიერ სახპეტოვის საწყობში, გასინჯა კომისიამ, საქალაქო მკურნალის ელიავას და მიხეილის მეციხოვნე არტილერიის უფროსის მკურნალის მონტვიდა-მონტვიდასაგან შემდგარმა, ვარგისად იცნო და ამიტომ მიეცა ნება გაყიდვისაო“.

დასასრულ ბ-ნი მხეიძე ამბობს, რომ ამ გარემოებამ ძალიან გამაოცა, რადგან, რაც უნდა იყოს, ის 171 ტომარა ფქვილი, ეხლაც დარწმუნებული ვარ, დიდად საეჭვო ღირსებისა იყო, და საყურადღებოა ვიცოდეთ, რაღა მნიშვნელობა აქვს სასანიტარო ზედამხედველობას ქალაქისას, თუ იმის დადგენილებას გააუქმებს, არა უფლებით აღჭურვილი, წესიერად მოწოდებული კომისია, არამედ უბრალო კაცთა თხოვნით ნაბოძები მოწმობა, თუნდა მკურნალებისაცაო.

მთელი ეს ამბავი, მართლაც, საკვირველია და საოცარი! რა უფლება ჰქონდათ, იურიდიულს ვიღა კითხულობს, ზნეობრივი ვთქვათ, მკურნალთ ელიავასა და მონტვიდა-მონტვიდს აეღოთ ექიმის მხეიძის მიერ უვარგისად ცნობილი ფქვილი მისდა უცნობლად, გაესინჯათ და გაყიდვის საშუალება მიეცათ?! ეს საგანი საზოგადოდ საყურადღებოა, შეეხება მთელის ბათუმის საზოგადოების კეთილდღეობას და იმედია, ხსენებული ექიმები არ დააგვიანებენ თავისს პასუხს. ჩვენ აქამდისაც ამ პასუხს ველოდდით და იმიტომ არ გადმოვბეჭდეთ პირველშივე ეს წერილი მკურნალის მხეიძისა. მაგრამ უკვე ერთმა კვირამ განვლო ამ წერილის რუსულს გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ და ჯერ ჩამი-ჩუმი არ ისმის“.

ნეტა რის მომასწავებელია ეს სიჩუმე?!..

რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ მამულების სარწყავად რუების გაყვანისა და ჭაობების დაშრობის შესახების საერთო წესდების შესამუშავებლად უკვე დაამთავრა მუშაობა. ამ ჟამად წესდება წარუდგენიათ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის მისდა განსახილველად.

— საერო განათლების სამინისტროს ბრძანება დაუგზავნია, რომ საერობო და საქალაქო მმართველობამ წინდაწინ შეიტანოს ხოლმე ხაზინაში 1 იანვარსა და 1 ივლისს ის ფული, რომლითაც ეხმარებიან ხაზინას ამა თუ იმ სასწავლებლის შესანახავად.

— ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შესვლის მსურველთათვის მომავალ სამოსწავლო წელს 300 თავისუფალი ადგილი იქმნება. ამ აზრით ინსტიტუტის მთავრობას განზრახვა აქვს ინსტიტუტის შენობას ერთი სართული კიდევ დაადგას ზემოდგან.

— ამ ჟამად გზათა სამინისტრომ გამოაქვეყნა წესები და დარიგებანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ რკინის გზებზედ მისაღებ მოხელეთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შეადგინოს ნორმალური წესდება საშუალო და მაღალ სასწავლებელთა მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოებათა სახელმძღვანელოდ.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიუნდვია ქირნახულის სეტყვისაგან საურთიერთო დაზღვევის საქმის განხილვა. ამ საქმის გამორკვევას შესდგომია უკვე სამეურნეო დეპარტამენტთან დაარსებული დამზღვევი განყოფილება.

— ეხლახან დამთავრდა სამთო და სატყეო ინსტიტუტში მოსწავლეთა მიღება. სამთო ინსტიტუტში თავისუფალი ადგილი ყოფილა 50, ეგზამენი-კი ბევრს ახალგაზდას გადაუხდია მშვენივრად და ამიტომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით მიუღიათ 98 კაცი. სატყეო ინსტიტუტშიც მიუღიათ პირველ კურსზედ 188 კაცი და ამათ შორის 38 კაცი მიწად-მოქმედების მინისტრისა და სამინისტროს მმართველის განკარგულებით.

— რუსეთისა და ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის გასაძლიერებლად განზრახვა აქვთ, როგორც გაზ. „Нов.“-ს გაუგონია, დაარსონ „სლავიანთა სავაჭრო საზოგადოება“, რომელსაც აზრად ექმნება შეიტანოს ბოლგარიასა და სერბიაში ნავთი და სხვა ნაწარმოები რუსეთიდგან და ამ სახელმწიფოთა ნაწარმოები კიდევ რუსეთში მოიტანოს. საზოგადოებას თანხად ექმნება 2,600,000 მან. საზოგადოება მუშაობას დაიწყებს — წესდება დამტკიცებულ იქმნება თუ არა, რომელიც უკვე შედგენილია და წარედგინება ფინანსთა მინისტრს. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ როგორც რუსეთისა, აგრეთვე ბოლგარიისა და სერბიის ვაჭრები.

◆

უცხოეთი

—

ინგლისი. ჩვენ ამ რამდენისამე ხნის წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ინგლისის გემების ამშენებელ და მანქანების მკეთებელ ქარხნებში მომუშავეთ პირი შეჰკრეს და მუშაობა აღკვეთესო. მას აქეთ უკვე სამი თვე გავიდა და უთანხმოება მუშათა და მექარხნეთა შორის ჯერ კიდევ არ მოსპობილა. მუშები თავისაზედ სდგანან და არ უნდათ მუშაობას ხელი მოჰკიდონ, ვიდრე მექარხნეები იმათს სურვილს არ განახორციელებენ, ხოლო მექარხნეთაც, როგორც მოსულის ამბებიდგანა სჩანს, მტკიცეთ განუზრახავთ არ აღასრულონ მუშათა მოთხოვნილება. უმთავრესად მუშები სამუშაო დროს შემცირებასა თხოულობენ: დღეში ცხრა საათის ნაცვლად, როგორც ეხლა არის, რვა საათს. ამ ჟამად 59,000 მემანქანე მუშა არის უსაქმოდ. ამათ მუშათა კავშირის კასსებიდგან კვირაში 350,000 მანეთი ეძლევათ. რადგანაც ამ გვარ კასსებში მუშებს აუარებელი ფული აქვთ შენახული, შეთქმულობას შეუძლიან დიდხანს გასტანოს და ამ რიგად რამდენისამე მილიონის ზარალი მიაყენოს მექარხნეებს. ინგლისში ძალიან ხშირია მუშათა შეთქმულობა, მაგრამ ეს უკანასკნელი შეთქმულება ყველაზედ ნათლად ამტკიცებს, თუ სადამდე მიაღწია ბრძოლამ კაპიტალსა და შრომის შორის. გამარჯვება, აშკარაა, ადრე თუ მალე, უკანასკნელს მხარეს დარჩება, მაგრამ ფულის პატრონთ ეგრე ადვილად არ უნდათ დაუთმონ ეს გამარჯვება. გაზ. ,,Standard‘‘-ის სიტყვით, 600 ქარხნის პატრონმა პირობა დასდო ურთიერთ შორის, რომ მუშათ ბრძოლა გაუწიონ. ასეთი საშუალების წყალობით კაპიტალი ჯერ კიდევ დიდხანს იბატონებს, ვიდრე კანონმდებლობა და მთავრობა იმის მხარეს არის, კაპიტალს დიდი ძალა აქვს და ჯერ კიდევ ხშირად გამოვა გამარჯვებული ბრძოლის ველიდგან. მაგრამ მუშათა შორის თვით ცნობიერება და ერთობა დღითი დღე ისე ძლიერდება, შეთქმულებანი ისე ხშირდება, რომ კაპიტალს და კაპიტალისტებს მერმისში დიდი შიში მოელით. ჯერ ეხლა ინგლისში მუშათა დასი ისეთს ძალას წარმოადგენს, რომ მთავრობაც, ჟურნალ-გაზეთებიც და საზოგადოებაც დიდს ყურადღებას აქცევენ იმათს აზრსა და ასე თუ ისე ანგარიშს უწევენ, ხოლო შემდეგ იძულებული გახდებიან მუშათა დასის ყოველი სურვილი აღასრულონ. ამისი უტყუარი საბუთი მუშათა ამ ორმოც-ორმოცდა-ათის წლის ისტორიაა. მაშინ, როდესაც ორმოცის წლის წინად ინგლისში მუშათა ხსენება არც-კი იყო და მათ მოთხოვნილებას ყურადღებას არავინ აქცევდა, დღეს ყველანი შიშით შეჰყურებენ და ნებაუნებურად ანგარიშს უწევენ იმათს აზრს.

◆

ნაკვესი

— ას, ჩემო მეგობარო, ეს არის ეხლა სიზმარში ვნახე, რომ მშვენიერი საშემოდგომო წამოსასხამი გეყიდნა ჩემთვისაო, უთხრა ცოლმა ქმარს.

— ისევ დაიძინე, სულიკო, უპასუხა ქმარმა, იქნება ისიც ჰნახო, ფული საიდგან მეშოვნა წამოსასხამისათვის... მაშინ გადავწყვიტოთ, ვიყიდით წამოსასხამს თუ არა.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

იტალიელმა ახალგაზდა მეცნიერმა და მწერალმა გილელმა ფერრერომ დაბეჭდა ახალი წიგნი სათაურით ,,ნორჩი ევროპა‘‘. ფერრერო აქამდინაც იყო ცნობილი, ვითარცა ნიჭიერი მწერალი, ხოლო ამ წიგნის გამოცემის შემდეგ უფრო გაითქვა სახელი. თვით ამ წიგნის შესახებ შეიძლება სხვა დროს მოველაპარაკოთ მკითხველებს, ეხლა-კი მარტო ამ წიგნის ერთს ადგილს მოვიყვანთ, სადაც ფერრერო მოგვითხრობს ინგლისელ ქალთა ბრძოლის ამბავს პარლამენტთან.

ინგლისელი ქალი ბუნებითვე თავისუფალია. ეს საკვირველი არ არის, რადგანაც არც ერთს სახელმწიფოში საზოგადოდ ადამიანი ისე თავისუფალი არ არის, როგორც ინგლისში. მეტად საყურადღებოა, რომ აქ დიდკაცობაც-კი მომხრეა ქალთა თავისუფლებისა.

ამ ბოლოს დროს ინგლისში დაარსდა ქალთა საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს მიანიჭოს ქალებს საარჩევანო უფლებანი. ყველაზედ მომეტებული ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის ქ-ნს გლადსტონისას, ,,დიადის მოხუცის“ მეუღლეს. ამას მოსდევს ქ-ნი სომერსეტი, ქალი ფრიად მჭევრმეტყველი და მხნე. მერე გრაფის ამერდინის მეუღლე, მეუღლე კანადას გუბერნატორისა, მისტრის გარრეტ ფასეტისა, ცოლი სახელოვანის მეცნიერისა და დედა სახელოვანის მათემატიკოსის ქალისა მისს ფასეტისა და სხვანი. ამ ქალთა საზოგადოებამ მრავალი წვრილი უფლებანი მიანიჭა დედათა სქესს და წელს უნდა დამთავრებულიყო დიდის ბრძოლით თვით პარლამენტთან — ქალებმა მოსთხოვეს პარლამენტს, საარჩევნო უფლებანი მოგვანიჭეთო.

ამ ბრძოლაში ქალებმა დიდი ცოდნა, უნარი და სიმხნევე გამოიჩინეს. ვიდრე დეპუტატთა არჩევანები მოხდებოდა, ქალებმა ჩამოუარეს სათითაოდ კანდიდატებს.

— თანახმა ხართ, თუ არა დაეხმაროთ ჩვენს განზრახვას, რომ ქალებს საპარლამენტო უფლებანი მიენიჭოთ? — ეუბნებოდნენ ქალები კანდიდატებს, — თუ თანხმა ხართ, დაგეხმარებით, თუ არა, ვეცდებით წინააღმდეგობა გაგიწიოთ, რითაც-კი შევიძლებთ.

ლიბერალთა და რადიკალთა უმრავლესობა არ დასთანხმდა ამ პირობაზედ და ნაკლებადაც იქმნენ არჩეულნი დეპუტატებად. კონსერვატორები დასთანხმდნენ და დიდის უმეტესობით იქმნენ არჩეულნი. მაშინ გათამამებულმა ქალებმა საზოგადოებათა პალატას წარუდგინეს კანონ-პროექტი და გაიმარჯვეს კიდეც: ამა წლის 3 თებერვალს საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც გასათხოვარ და ქვრივ ქალებს საპარლამენტო უფლებანი უნდა მიენიჭოთ.

3 თებერვლის კრება მეტად მხიარული იყო. პალატა მხიარულად ხარხარებდა.

ქალთა კანონ-პროექტის წინააღმდეგ სხვათა შორის გაილაშქრა დეპუტატმა ლაბუშერმა.

— მაშ ეგრეო, დაიწყო ლაპარაკი ლაბუშერმა, — ერთს მშვენიერს დღეს ჩვენ გვეყოლება საადმირალო ლედი (ზღვათა მინისტრი). პალატა გამხიარულდა. სპიკერს (თავმჯდომარეა პალატისა) სიტყვა უნდა ჩამოერთვა ლაბუშერისთვის, მაგრამ ორატორმა ეხლა თვით სპიკერს მიჰმართა.

— და თქვენ ადგილას-კი იჯდება... ქალბატონი სპიკერი!..

— ვსთქვათ, სპიკერად ისევ თქვენ დარჩით, — განაგრძო ლაბუშერმა, — მერე მოახერხებთ-კი წეს-რიგი ჩამოაგდოთ დეპუტატ ქალთა შორის? და თუ ვინიცობაა გაანჩხლდნენ ქალები, შესძლებთ, რომ დაამშვიდოთ?

ქალთა კანონ-პროექტის მეორე მოწინააღმდეგემ რადკლიფ კუკმა სთქვა, ზოგი დეპუტატი იმიტომ არის ამ კანონ-პროექტის მომხრე, რომ ამით თავისს დედას ასიამოვნებს, ზოგი ცოლსა და ერთმა დეპუტატმა იცით, რა მითხრა...

— სახელი დაასახელეთ! — ჰყვიროდნენ დეპუტატები.

— არა, ვერ დავასახელებ. მეშინიან, ქალები არ გადაემტერონ. მე დავეკითხე ამ დეპუტატს და იმანაც თვალნი თვისნი მიაპყრა ზეცას, სამჯერ გულში მუშტი ჩაირტყა და სთქვა: „ვფიცავ ნეტარებას, ვფიცავ ჩემის სულის ცხონებას — და კვლავ ჩაირტყა გულში მუშტი, თითქოს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სული გულში ჰყავს, — ვფიცავ, რომ მე წინააღმდეგი ვარ ამ კანონ-პროექტისა, მაგრამ რა ვქნა, ერთი ქვრივი ქალი მოსვენებას არ მაძლევს“...

მთელი პალატა ხარხარებდა და ამ სიცილსა და ხარხარში პალატამ შეიწყნარა ზემოხსენებული კანონ-პროექტი. მართალია ეს კანონ-პროექტი ლორდთა პალატამ არ დაამტკიცა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხომ ქალებმა მაინც გაიმარჯვეს და ვინ იცის, იქმნება პატივცემული ლორდებიც დაიყოლიონ როგორმე და დღეს იქმნება, თუ ხვალ იმათაც მიაღებინონ ეს კანონ-პროექტი.

◆

სასამართლოს მატიანე

ალექსანდრე მარგიშვილის საქმე

1897 წ. 27 ივნისს სამსონ ლაზარევის ლუდხანაში შევიდა ტფილისის მოქალაქე ალექსანდრე მარგიშვილი, სადაც თავისი საყვარელი მორიამ ასლამაზოვი დახვდა, რომელიც ლუდს შეექცეოდა გიორგი და ილია შავდათოებთან. მარგიშვილს არ მოეწონა ასლამაზოვის ქცევა და დაუძახა, აქეთ წამოდიო. ასლამაზოვისამ უშვერის პირით ლანძღვა-გინება დაუწყო მარგიშვილს და ახლოც არ მიეკარა. მარგიშვილმა ხელახლად დაუძახა, მაგრამ ასლამაზოვისამ ლანძღვა-გინებას უფრო უმატა, ადგა მერე და შევიდა იქვე მეორე ოთახში. წამოხტა მარგიშვილი, დაედევნა უკან და დაუწყო დანით ცემა ასლამაზოვისას. სისხლით მოსვრილი ასლამაზოვისა დაეცა ძირს და გარდაიცვალა ჭრილობებისაგან. გვამი რომ გასჭრეს, სასიკვდილო ჭრილობანი აღმოაჩნდა გულსა, გულის ბუდესა, მუცელსა და სხვაგან. მარგიშვილი ამ მკვლელობის ჩადენის შემდეგ გაიქცა და დაიმალა, მაგრამ მეორე დღეს, 28 ივნისს, მივიდა პოლიციის მოხელე ევსტაფიევთან და ყოველივე დაწვრილებით უამბო.

ეს საქმე ირჩეოდა 23 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში. მარგიშვილმა თავისი თავი დამნაშავედ აღიარა სასამართლოს წინაშე.

სასამართლომ იცნო რა დამნაშავედ მარგიშვილი, ისე-კი, რომ ეს დანაშაული ჩაუდენია სიანჩხლისა და გაბოროტების დროს, გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და გაგზავნა ზნე-ხასიათის გამსწორებელ განყოფილებაში 3 წლით.

ბრალდებულმა იქვე გამოაცხადა, რომ კმაყოფილი ვარ ასეთის გარდაწყვეტილებისაო.

◆

გამოსადეგი ცნობა.

თურმე კარტოფილით სარეცხი ძლიერ კარგად ირეცხება. საჭიროა მოხარშოთ კარტოფილი და რეცხვის დროს ისე იხმაროთ, როგორც საპონი. კარტოფილით რეცხვა კიდევ იმითი ყოფილა კარგი, რომ სარეცხს სრულიად არ ახუნებს. ზოგიერთი ჩითი ან სხვა რამ ქსოვილი რეცხვითა ჰხუნდება და ამათ გარეცხვის დროს მოხარშული კარტოფილი რომ იხმაროთ, სრულიად ფერს არ შეიცვლის თურმე.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ოქტომბერი.

ათინა. გამოძიება ტარპედების შესახებ ჯერ არ გათავებულა. ამ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ ოფიცრებმა, რომელთაც ბრალი ედებათ, ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ მალავდნენ. მიზეზი ჯერ გამოკვლეული არ არის.

პალატის კრება 30 ოქტომბერს მოხდება.

კონსტანტინეპოლი. ზავის შესახებ მოლაპარაკების საქმეში ბერძნებს იმედი აქვთ, რომ სამხედრო ჯილდოს საქმე მორიგებით გაათავონ, ხოლო კაპიტულიციის საქმეში სახელმწიფოთ სამედიატორო სასამართლო აუცილებელი იქმნება.

ყველაფერი მოამზადეს თესალიის ჯარის რვა ათასი ავადმყოფობისაგან განთავისუფლებულ ჯარის კაცის გადასაყვანად. შემოწირულება იკრიბება იმათთვის თბილის ტანისამოსის შესაკერად, სულთანმა 1,000 გირვანქა შესწირა.

◆

განცხადებანი

ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ
ЛАНДЫШЪ
БРОКАРЪ и Кº
ВЪ МОСКВѢ.
BROCARD & Cº MOSCOU

Покупайте только
ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
ИЗОБРѢТЕННЫЙ
Товариществомъ
Брокаръ и Кº.

Этотъ о-де-колонъ употребляется
какъ духи,
туалетная вода
и куренія.

Остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—5)

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

✦ ოქროს მედალი 1895 წ. ✦

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Октября 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.